

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია და “სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო
სამოგადოება” 27 აგვისტოს
ამბროლაურში დაგეგმილი აქციის
მიმდინარეობას დააკვირდება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო სამოგადოება A კოალიცია ქართული ოცნების A მიერ 2012

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



წლის 27 აგვისტოს ამბროლაურში დაგეგმილი აქციის მიმდინარეობას დააკვირდება. დაკვირვებას ორგანიზაციები წინასაარჩევნო გარემოს გრძელვადიანი მონიტორინგის ფარგლებში ახორციელებენ, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრების მიმდინარეობისა და შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების მონიტორინგს გულისხმობს.

ორგანიზაციის დამკვირვებლები მონიტორინგს გაუწვევენ ამბროლაურში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც 2012 წლის 27 აგვისტოს დაგეგმილი აქციის ორგანიზებას და აქციაში მონაწილე მოქალაქეების მობილიზება-გადაადგილებას უკავშირდება.

საია და “სამართლიანი არჩევნები” იმედოვნებენ, რომ აქცია მშვიდობიან გარემოში ჩატარდება, სახელმწიფო ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი იქნება შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები.